

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება **DESIRE-ის ვებგვერდზე**: შეიტყვეთ მეტი შუმანის დეკლარაციის შესახებ

პროექტი „შუმანის დეკლარაცია: ინიციატივა ევროპის აღორძინებისთვის“ (DESIRE) სიამოვნებით გიზიარებთ თავის ახალ ვებგვერდს! ამ ახალი ვებგვერდის წყალობით ყველას შეუძლია მოიძიოს ინფორმაცია პროექტისა და პროექტში ჩართული ათი (10) პარტნიორის შესახებ.

ვებგვერდის საშუალებით შეგიძლიათ მეტი გაიგოთ პარტნიორების მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. მაგალითად, სერბმა პარტნიორმა („Danube 1245“), მოაწყო გასეირნება პარკში და მოიწვია მოქალაქეები, რათა გაცნობოდნენ შუმანის დეკლარაციას, ევროპულ ღირებულებებს. თუ გსურთ მეტი შეიტყოთ ამ აქტივობის შესახებ, მიჰყევით შემდეგ ბმულებს. (ბმული 1; ბმული 2)

აღმოაჩინეთ პროექტის (DESIRE) ვებგვერდი, შეიტყვეთ მეტი მის პარტნიორებზე და შუმანის დეკლარაციაზე

→ პროექტის „შუმანის დეკლარაცია: ინიციატივა ევროპის აღორძინებისთვის“ (DESIRE) შესახებ

„შუმანის დეკლარაცია: ინიციატივა ევროპის აღორძინებისთვის“ (DESIRE) არის „ევროპა მოქალაქეებისთვის“ მიერ დაფინანსებული პროექტი. პროექტი მიზნად ისახავს ხალხის და განსაკუთრებით ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას ევროკავშირისთვის შუმანის დეკლარაციის არსისა და ისტორიული მნიშვნელობის შესახებ. პროექტის მიზანია, რომ ახალგაზრდები ჩაერთონ ისტორიულ პროცესებში პროაქტიული გზით. მხატვრული ხელოვნების ნიმუშების ერთობლივი შექმნით, როგორცაა ვიდეო, თეატრი, თამაშები, აუდიო ჩანაწერები, პარტნიორები შეუერთდებიან ახალგაზრდების ჯგუფებს, ხელახლა გაეცნობიან და აღმოაჩინენ ისტორიებს, და მოაწყობენ ევროკავშირის ღირებულებების, როგორც კულტურათაშორისი დიალოგის, მშვიდობისა და სოლიდარობის შესახებ დებატებს.

კონსორციუმს ხელმძღვანელობს Comune di Lavarone, (იტალია) რომელიც აერთიანებს შემდეგ ორგანიზაციებს: Fondazione Belvedere-Gschwent (იტალია), ბულგარეთის შავი ზღვის ადგილობრივი ხელისუფლების კავშირი (ბულგარეთი), Municipio de Valongo (პორტუგალია), Danube 1245 (სერბეთი), Zdruzenie Institut za razvoj na zaednicata, (ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია), Administration Communale de Grez-Doiceau (ბელგია), Fundacio de la Comunitat Valencia de Patrimoni Industrial i (ესპანეთი), Kulturni centar Osijek (ხორვატია), ALDA (საფრანგეთი).